

ფონოტაქტიკური მიმართებანი ქართული  
ენის თანხმოვნებს შორის  
(სამხვევრა თანხმოვანთკომპლექსების  
ანალიზი)  
PHONOTACTIC RELATIONS BETWEEN THE GEORGIAN  
CONSONANTS  
(ANALYSIS OF THE TRINOMIAL CONSONANT CLUSTERS)

ეთერ სოსელია  
Eter Soselia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ფონოტაქტიკა, თანხმოვანთკომპლექსი,  
ჰარმონიული კომპლექსი, სონორი თანხმოვნები  
**Keywords:** Phonotactics, Consonant Clusters, Harmonic Clusters, Sonorant  
Consonants

ქართული ენის ფონოტაქტიკის საკითხების შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. ინტერესი ქართული ენის ფონოტაქტიკის მიმართ უპირველესად გამოწვეულია ქართულში თანხმოვანთკომპლექსების სიმრავლით, რომელთა სიგრძე ერთი მორფემის (როგორც წესი, ძირეული მორფემის) ფარგლებში მერყეობს 2-დან 6-ის ჩათვლით. ასეთი მდიდარი საკვლევი მასალა თანხმოვანთკომპლექსთა სტრუქტურების მოდელირების განსხვავებულ შესაძლებლობებს იძლევა.

მოხსენება მიზნად ისახავს ქართული სამწევრა თანხმოვანთკომპლექსების ანალიზს და იმ ტენდენციების გამოვლენას, რომლებიც განსაზღვრავენ ქართული სამწევრა თანხმოვანთკომპლექსების სტრუქტურას.

სამწევრა თანხმოვანთკომპლექსების რაოდენობა შეადგენს 210-ს. საკვლევი მასალა დაიყო 2 ძირითად ჯგუფად:

ჯგუფი 1 – სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც შეიცავენ ჰარმონიულ კომპლექსებს;

ჯგუფი 2 – /მ, ნ, რ, ლ, ვ/ სონორების შემცველი თანხმოვანთკომპლექსები (ჰარმონიული კომპლექსების გარეშე).

როგორც ჯგუფი 1-ის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა:

სამწევრა კომპლექსების შექმნის თვალსაზრისით, ყველაზე პროდუქტიულია წყ და თხ ჰარმონიული კომპლექსები (თითოეული მათგანი 7 სამწევრა კომპლექსს ქმნის); ასევე, ჰარმონიულ კომპლექსებთან უმეტესად კომბინირებენ სონორი თანხმოვნები: /მ, ნ, რ, ლ, ვ/. ეს უკანასკნელნი ძირითადად ჰარმონიულ კომპლექსთა მომდევნო პოზიციას იკავებენ; ჰარმონიული კომპლექსის წინა პოზიციაში დასტურდება მხოლოდ: /რ, მ, ნ/, თუმცა ასევე გვხვდება მაქსიმალურად წინა ლოკალური რიგის ხშული თანხმოვნებიც: /ბ, ფ, პ/.

ჯგუფი 2-ში გამოიყო ორი ქვეჯგუფი და თითოეულში გამოვლინდა შემდეგი სტრუქტურული ტიპები:

ა) თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც ბოლოვდება სონორით – C1S2, S1CS2 და C1C2S სტრუქტურული ტიპებით (სადაც S აღნიშნავს სონორს, ხოლო C – არასონორ თანხმოვანს);

ბ) თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც არ ბოლოვდება სონორით – SC1C2 და

S1S2C სტრუქტურული ტიპებით.

თანხმოვანთკომპლექსთა ორი ძირითადი ჯგუფის გარეთ დარჩა უმნიშვნელო რაოდენობის C1C2C3 ტიპის კომპლექსები.

მოხსენებაში განხილულია თითოეული ზემოთ მოცემული სტრუქტურული ტიპი და გამოვლენილია გარკვეული ფონოტაქტიკური კანონზომიერებანი თუ ტენდენციები, მაგალითად, შემდეგი სახისა:

CS1S2 ტიპის თანხმოვანთკომპლექსებში S2≠ვ;

CS1S2 ტიპში, როდესაც S2=რ, როგორც წესი, S1=ვ;

C1C2S ტიპის თანხმოვანთკომპლექსებში სონორების წინ უმეტესად გვხვდება სპირანტი თანხმოვნები. ყველაზე ხშირია სპირანტი+სპირანტი მიმდევრობა, განსაკუთრებით კი ჰარმონიულ კომპლექსთან მიახლოებული ორი სპირანტის ისეთი მიმდევრობა, როცა იქმნება დეცესიური კომპლექსი და ორივე სპირანტი იდენტურია (ჰომოგენურია) მჟღერობა-სიყრუის თვალსაზრისით; შედარებით იშვიათია ხშული+სპირანტი მიმდევრობა, რომელიც ასევე დეცესიურ კომპლექსს ქმნის (რამდენადაც ხშული თანხმოვანი მხოლოდ /ბ/ ან /ფ/ ფონემა შეიძლება იყოს).

აქ ფორმულირებული და მოხსენებაში წარმოდგენილი კიდევ სხვა კანონზომიერებანი, რომლებიც გამოვლენილია სამწევრა თანხმოვანთკომპლექსთა თითოეული ტიპის გაანალიზების შედეგად, ასახავენ იმ ფონოტაქტიკურ მიმართებებს ქართული ენის თანხმოვანთა შორის, რომლებიც სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებში ვლინდება.

### ლიტერატურა:

- ახვლედიანი, გ. (1999) ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი: „თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა“
- ბუცხრიკიძე, მ. – Butskhrikidze, M. (2002) The Consonant Phonotactics of Georgian, Utrecht: LOT
- შევროშკინი ვ. ვ. – Шеворошкин, В. В. (1969) Звуковые цепи в языках мира, Москва: „Наука“

Numerous papers have been devoted to the study of phonotactic issues of the Georgian language. The interest in the phonotactics of the Georgian language is primarily due to the great diversity of the Georgian consonant clusters, their length within a single morpheme (as a rule, the root morpheme) varies from 2 to 6. Such rich research material gives an opportunity of structuring consonant clusters in different ways.

The paper is aimed to study the trinomial consonant clusters in the Georgian language in order to identify the tendencies which define the structure of Georgian consonant clusters.

There are 210 trinomial consonant clusters in Georgian. The research material was divided into 2 main groups:

Group 1 – trinomial consonant clusters comprising the so-called harmonic clusters;

Group 2 –consonant clusters including /m, n, r, l, v/ sonorant consonants (without harmonic clusters),

As a result of the analysis of Group1, the following was found:

According to the ability of the formation of trinomial clusters, cq and tx harmonic clusters are the most productive (each of them forms 7 three-member clusters); in addition, with the harmonic clusters mostly sonorant consonants /r, l, m, n, v/ are combined. The latter are mainly found in the position after the harmonic clusters; and only sonorants /r, m, n/ occur in the pre-harmonic position; in some cases, however, /b, p, p'/ plosive consonants are found as well.

Group 2 is divided into two subgroups, with the following structural types in each:

consonant clusters with sonorants in the final position, having the following structures: CS1S2, S1CS2, C1C2S (S stands for the sonorant consonant, C – for the non-sonorant one);

consonant clusters without sonorants in the final position, having the following structures: SC1C2, S1S2C.

An insignificant number of C1C2C3 type clusters was not included in the two main groups.

The paper covers each above-mentioned structural type and reveals certain phonotactic regularities and tendencies, e.g. the following:

For consonant clusters of CS1S2 type, S2≠v;

For clusters of CS1S2 type, if S2=r, usually, S1=v;

For consonant clusters of C1C2S type, mostly fricatives occur before sonorant consonants. The sequence fricative+fricative is the most common, especially, such sequence of two fricatives when a cluster close to the harmonic one is formed (i.e. they form introversive sequence of two fricatives, both being identically either voiced or voiceless) is particularly frequent; the sequence plosive+fricative, forming an introversive sequence as well, is relatively rare (as the plosive consonant can be only /b/ or /p/ phoneme).

The above-mentioned and other regularities presented in the paper, established as a result of the analysis of each type of the trinomial consonant clusters, reflect the phonotactic relations between the consonants of the Georgian language, which are manifested in trinomial consonant clusters.

#### **References:**

- Akhvlediani, G. (1999) Zogadi Ponetikis Sapudzvlebi [Foundations of General Linguistics], Tbilisi: Tbilisi State Pedagogical University Press
- Butskhrikidze, M. (2002) The Consonant Phonotactics of Georgian, Utrecht: LOT
- Shevoroshkin, V. V. (1969) Zvukovye tsepi v jazykax mira [Sound Chains in the Languages of the World], Moscow: "Nauka"



რუსთველის პოემის სახელწოდების  
მეტაფორული გააზრება აღმოსავლურ-  
დასავლურ ლიტერატურულ თხზულებათა  
სათაურების კონტექსტში  
METAPHORICAL UNDERSTANDING OF THE TITLE OF  
RUSTVELI'S POEM WITHIN THE CONTEXT OF THE TITLES  
OF EASTERN AND WESTERN LITERARY WORKS

ნესტან სულავა  
Nestan Sulava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სათაური-ისტორია, ვეფხი, ინდივიდი, სულიერი  
ამაღლება, აღმოსავლურ-დასავლური ლიტერატურული კონტექსტი.  
**Keywords:** Title-history, Tiger, Individual, Spiritual Renewal, Eastern and  
Wester Literary Context.